საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4931
26/06/2023

4931-21-2-202306261444

ქალაქ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლევან ზოიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი 2023 წლის 1 მაისის №114-11423121233 წერილის (№3761; 02.05.2023) პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ ქობულეთში, აბაშიძის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ:20.42.09.600) განაშენიანების დეტალური გეგმისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის განცხადების წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ მერქნიან მცენარეებზე, ხოლო ბალახოვანი მცენარეები, განსაკუთრებით, არის თუ არა ტერიტორიაზე ენდემური სახეობები, აღწერილი არ არის. ამასთან, დოკუმენტში არ არის დაზუსტებული, თუ რა რაოდენობის ხე-მცენარე ექვემდებარება ჭრას და გადარგვას. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა;
- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ფრინველთა საიმიგრაციო მარშრუტზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დოკუმენტში უფრო დეტალურად აისახოს მრავალსართულიანი შენობების მოწყობით ფრინველებზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედითი და ეფექტური ღონისძიებები, სათანადო დასაბუთებით. განსახილველია ასევე კუმულაციური ზემოქმედება, განსაკუთრებით ცხოველებზე, მათ შორის გადამფრენ ფრინველებზე ზემოქმედების კუთხით;
- წარმოდგენილი პროექტის აღწერაში (ტექსტურ ნაწილში) არ არის ინფორმაცია იგეგმება, თუ არა ნავმისადგომის მოწყობა, რადგან პროექტის გეგმაზე მისი მოწყობა გათვალისწინებულია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ნავმისადგომის მოწყობის შემთხვევაში კი დოკუმენტში, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მის პარამეტრებზე, მშენებლობით გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედებაზე, იქ არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე და საჭიროების შემთხვევაში, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე;
- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, „საპროექტო ტერიტორიაზე წავისთვის ხელსაყრელი ჰაბიტატები გვხვდება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ პროექტის განხორციელებამ შესაძლოა გარკვეული ზეგავლენა იქონიოს წავზე,

აღნიშნული სახეობის ჰაბიტატებზე და საკვებ ბაზაზე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა სკრინინგის განცხადებაში აისახოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი დამშრობი არხის წყლისა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნებაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შემოთავაზებულ იქნას შესაბამისი შემარბილებელი და ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებები;

- სგშ-ის სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე კიდევ ერთხელ უნდა განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება კვალიფიციური ზოოლოგის მიერ, რათა გამოირიცხოს დაცული სტატუსის სახეობებზე პირდაპირი ზემოქმედება, ასევე სგშ-ის სკრინინგის განცხადების თანახმად, **სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე პროექტის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესრულება. საჭიროა, დაზუსტდეს დოკუმენტში ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით” გათვალისწინებული ის საქმიანობები, რომლებიც ექვემდებარება კოდექსით განსაზღვრული პროცედურების გავლას;**
- სკრინინგის განცხადებაში უნდა აისახოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა. ასევე, სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ბიომრავალფეროვნების კუთხით ნაკლებად საფრთხის შემცველია;
- ვინაიდან, არეალში მდებარეობს შპს „საქართველოს მელიორაციის“ კუთვნილი დეხვა-ბობოყვათის დამშრობი სისტემის არხების დაბოლოების ნაწილი (ს/კ: 20.00.295) (სკრინინგის განცხადება, გვ. 7., 76., 86) და აღნიშნული არხების სისტემით შეკრებილი წყალი გაედინება საპროექტო ტერიტორიაზე, იგეგმება არსებული დამშრობი არხის კალაპოტის ცვლილება. დამშრობი არხის გაყვანა რელიეფის მეტად დაბალი ქანობების პირობებში, უნდა განხორციელდეს დეტალურ ტოპოგრაფიული აგეგმვისა და არხის დადგენილი გამტარუნარიანობის საფუძველზე, **ვინაიდან არხის ქანობის ან მისი გამტარუნარიანობის არასწორად შერჩევამ შესაძლებელია გამოიწვიოს წყლის გადასვლა მიმდებარე ტერიტორიაზე და საკურორტო-დასასვენებელი კომპლექსის დატბორვა.** აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ახალი დამშრობი არხის პროექტის შემუშავება და შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმება, სადაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული იქნება არხის გასხვისების ზოლის დაცულობა, საექსპლუატაციო ღონისძიებების ჩასატარებლად. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სკრინინგის განცხადებაში. ამასთან, ამ ობიექტების პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში დაცული უნდა იყოს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- იმის გათვალისწინებით, რომ უახლოესი მანძილი ნაკვეთსა და ზღვას შორის შეადგენს 50 მეტრს, (სკრინინგის განცხადება, გვ.7), საკურორტო-დასასვენებელი, საცხოვრებელი კომპლექსის პროექტირების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები;

- დამშრობი არხის კალაპოტის ცვლილებისა და საკურორტო-დასასვენებელი, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის პროცესში დაცული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილების „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნები;
- დოკუმენტის თანახმად, საპროექტო გდგ-ს განხორციელებით გარემოს სხვდასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება, თუმცა ამ ზემოქმედებების განხილვა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო და კომპლექსი „ბობოყვათის“ გდგ პარალელურად განხორციელდება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს განხორციელების ვადები. ასევე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს კუმულაციური ზემოქმედების პირობებში, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- წარმოდგენილი უნდა იქნას ლანდშაფტზე ზემოქმედების საკითხი, კომპლექსი „ბობოყვათის“ გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი უბნის სანაპირო ზოლის თანამედროვე მორფოდინამიკური პროცესების ანალიზი, ნაპირის განვითარების პროგნოზი და დაგეგმილი პროექტის გავლენა სანაპირო ზოლის მდგრადობაზე, საანგარიშო შტორმული ტალღების გავლენა (შეშხეფების არეალის დადგენა) სანაპირო ზოლზე;
- როგორც განაშენიანების დეტალური გეგმით ირკვევა, პროექტის ფარგლებში გამიზნულია ზღვაში აკვატორიის შექმნა მცირე ზომის მცურავი საშუალებების დგომისათვის (იახტკლუბი). ამ ინფრასტრუქტურის პირველადი შეფასებისთვის აუცილებელია წარმოდგენილი იქნას წყალქვეშა ფერდის არსებული მდგომარეობა, ტალღის საანგარიშო რეჟიმის შესაბამისი მონაცემები, იახტკლუბის ჰიდროტექნიკური ნაგებობების გავლენა სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორიების მდგრადობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული შესაბამისი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო